თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2026 წლის 1 აპრილის
მორიგი სხდომის
ოქმი №5

ქ. თერჯოლა 1 აპრილის 2026 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. ნინო მახათაძე, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ლაშა გურგენიძე, 14. თემური ქოჩიაშვილი, 15.ომარი ჯიხვაშვილი, 16. მაკა ყიფშიძე, 17. ნატო კვეტენაძე, 18. იუზა უგრეხელიძე, 19. ერეკლე კირკიტაძე, , 20. გიორგი თურქაძე, 21. მამული კოვზირიძე, 22.შალვა ჭანკვეტაძე, 23. გიორგი ბრეგაძე, 24. გიორგი ქასრაშვილი, 25. რამაზი ლორთქიფანიძე, 26. მირზა აფრიდონიძე, 27. მანუჩარ ფანჩულიძე, 28. გიორგი ბერეკაშვილი, 29. ნოდარი ხოხიაშვილი, 30. ელისო მურადაშვილი, 31. გრიგოლ გიორგაძე, 32. გიორგი ყაზაიშვილი, 33. გოჩა ვერულაშვილი, 34. ჯანო რობაქიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ვლადიმერ მაკარიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 34 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე,
მერის მოადგილე: მირზა ქოჩიაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ავთანდილ ურიადმყოფელი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი - ნათია სახეჩიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - არჩილ ქოჩიაშვილი.
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განთლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - მაკა ასათიანი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების დირექტორები: სოსო დევიძე, ნათია მოსიაშვილი, მაია თორთლაძე, ირაკლი ჩხეიძე.

სხდომა დაიწყო 12 00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 50სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282608967, 30.03.2026წ.);

   მომხს.: ზ.ჩხვიკვაძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282608976, 30.03.2026წ).

   მომხს.: ბ. ბუხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპლაიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2025 წლის ანგარიში (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-28260444, 13.02.2026წ.).

   მომხს.: მ. ასათიანი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -34, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.
თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოწვია მთავრობის განკარგულებამ, საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1383.2 ათასი ლარით და შეადგენს 35846.6 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1493.2 ათასი ლარით (გრანტი გაიზარდა 1383.2 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები გაიზარდა 60.0 ათასი ლარით (ბანკის პროცენტი 30.0 ათასი ლარი და ჯარიმები 30.0 ათასი ლარი) და არაფინანსური აქტივები გაიზარდა 50.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 210.0 ათასი ლარით. მ/შორის:
საკრებულოს დაფინანსება შემცირდა 35.0 ათასი ლარით.
მერიის დაფინანსება შემცირდა 130.0 ათასი ლარით.
კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 15.0 ათასი ლარით.
სოციალური დაცვა შემცირდა 30.0 ათასი ლარით.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1593.1 ათასი ლარით. მ/შორის:
მერიის დაფინანსება გაიზარდა 130.6 ათასი ლარით.
სარეზერვო ფონდის დაფინანსება გაიზარდა 100.0 ათასი ლარით.
საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა 231.0 ათასი ლარით.
სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 60.0 ათასი ლარით.
დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 200.0 ათასი ლარით.
სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 16.0 ათასი ლარით.
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 180.0 ათასი ლარით.
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.
საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება გაიზარდა - 62.6 ათასი ლარით (სატრანსპორტო ხარჯი).
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 58.0 ათასი ლარით.
სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 100.0 ათასი ლარით.
სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 55.0 ათასი ლარით.
სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.
ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.
კულტურის სახლების დაფინანსება გაიზარდა 55.0 ათასი ლარით.
ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.
საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით.
სოციალური დაცვა გაიზარდა 2000.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-34, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №45, 01/04/2026 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - - ნუსხაში 12 საპრივატიზებო ობიექტია, რომელთა პრივატიზება განხორციელდება უპირობო ელექტრონული

აუქციონის ფორმით და საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული საორიენტაციო თანხები. პრივატიზაციის შედეგად შემოსული თანხები დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე და შესაძლებელი იქნება მეტი სოციალური და ეკონომიკური პროექტების დაფინანსება.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 34, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №29.2926091001, 01/04/2026 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა მაკა ასათიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპლაიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: ბადრი ბუცხრიკიძემ, რამაზი ლორთქიფანიძემ, ნატო კვეტენაძემ, ჯემალ ისაკაძემ, მანუჩარ ფანჩულიძემ.

გადაწყვიტეს: დადებითად შეფასდეს თერჯოლის მუნიციპლაიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2025 წლის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 1 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე